



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-19

ქ.ახალქალაქი

09 ოქტომბერი 2019 წელი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №49 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016274) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.

დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 16298749 (თექვსმეტი მილიონ ორას ოთხმოცდათვრვამეტი ათას შვიდას ორმოცდაცხრა) ლარის ოდენობით და ხარჯების მიხედვით 20150428 (ოცი მილიონ ას ორმოცდაათი ათას ოთხას ოცდარვა) ლარის ოდენობით, გარდამავალი ნაშთი შეადგენს 11327(თერთმეტი ათას სამ ას ოცდაშვიდი) ლარს დანართის შესაბამისად“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გაიოზ ლომსაზე